№ 159

1877—1898

№ 159

კვირა, 26 ივლისი, 1898 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კვირა, 26 ივლისი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერთან ჩვენის გაზეთის ხელის მომწერლებს ტფილისელებს გარდა ეგზავნებათ „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ განცხადება.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მერვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერა მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერგაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ბოტანიკის ბაღის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—13)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით. ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ზ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

**მაჩხაანის მოამხმარებელ საზოგადოების დეპოს** გამგეობა სთხოვს დეპოს წევრებს მობრძანდნენ სოფ. ქვემო-მაჩხაანში აგვისტოს 2 ს, კვირას, დილის 8 საათზედ, დეპოს დარბაზში წლიურ კრებაზედ დასასწრებლად.

საგანი კრებისა:

1, დეპოს ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

2, სხვა-და-სხვა ღონისძიებათა დასახელება დეპოს წევრთა და მუშტართა გამრავლებისათვის და თანხაალებ-მიცემობის გაძლიერებისათვის;

3, მომავალის წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმის განხილვა;

4, შარშანდელ კრებისაგან აღმორჩეულ კომისიის დადგენილებათა მოსმენა და დამტკიცება;

5, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ამორჩევა;

6, მოხსენება სოფლის მეურნეთა სხვა-და-სხვა ჭირნახულის სამაზრო ამბარ-საწყობთა დაარსების შესახებ.

დეპოს გამგეობა: დ. ნადირაძე, დ. ჯავახიშვილი, ი. გომელაური (3—6.—2)

## ახალი ამბავი

*** ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა ივანენკომ შუამდგომლობა დაიწყო ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ საბჭოს განაჩენის თანახმად ნება მოგვეცით ტფილისში ახლად დაარსებულს სამს საქალაქო სასწავლებელს და იმ ქუჩას, რომელიც ექსარხოსის მოედნიდგან სიონის ქუჩისაკენ მიდის, საქართველოს მეფის ერეკლე მე-II სახელი ვუწოდოთ მეფის გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულებისა გამო.

*** ქალაქის საბჭოს დადგენილებისა გამო 5 თვის წინად ქალაქის გამგეობამ შეუკვეთა ამერიკაში ვარტინგტონის ფირმას ტუმბოები (წყლის საქანებელი) ავლაბრის წყლის მილისათვის, მაგრამ აქამდე პასუხი არ მოსულია. ამის გამო გამგეობის კრებამ გადასწყვიტა მისწეროს დეპეშა ვასტინგტონის წარმომადგენელს პეტერბურგში, რომ თუ ვინიცობაა, ვასტინგტონის ფირმამ დროზედ არ შეასრულა პირობა, მაშინ ქალაქის გამგეობა ტუმბოებს სხვა ფირმას გააკეთებინებს და რაც ზარალი მოუვა, ვასტინგტონს გადაახდევინებს. ამასთანავე ერთად ქალაქის გამგეობა დაეკითხა ამიერ-კავკასიის რკინის გზის წარმომადგენელს ინჟენერს ცამუთალს, რომელიც ამ ჟამად ნიუიორკში იმყოფება, შეგვატყობინეთ, აკეთებს თუ არა ვასტინგტონი ტუმბოებს და როდის იქნება მზადაო.

*** გუშინ, 25 ივლისს, სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორის მინდობილებით მკურნალმა ტერასატუროვმა გასინჯა 8 აბანოში 190 მექისე და მათ შორის 5 კაცი ისეთის სენით აღმოჩნდა შეპყრობილი, რომელიც გადამდები არ არის. ხოლო ერთი მათგანი გადამდების სენით აღმოჩნდა ავად და გაგზავნილ იქმნა ქალაქის სამკურნალოში. გარდა ამისა ყველა აბანოს პატრონებს პირობა ჩამოართვეს, რომ მკურნალის მიერ გასინჯული მოსამსახურეები იყოლიონ აბანოში.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ

## ფელეტონი

### რა უნდოდა ჩვენს ახალს მეზობელს?

მოთხრობა სიგურდასი

(თარგმნილი შვედურიდგან)

ბიურბუში *) მილიონების პატრონი მობრძანდა!.. მაგრამ ეს-კი უნდა ვთქვათ, რომ ჰქონდა თუ არა იმას „ნამდვილად“ მილიონები, დაჰეშმარიტებით იმ დროს არავინ იცოდა, მხოლოთ ეს-კი იცოდნენ, რომ მან იყიდა მამული ბიურბუ და მისცა ოც-და-ათი ათასი კრონი *) ნაღდი ფული. თუმცა საქონელსა და სახლის სხვა-და-სხვა ავეჯში მისცა ნაღდი ფული, მაინც კიდევ დარჩა ქონება. ბიურინდიის მცხოვრებელთ ამის მეტი ცნობები არა ჰქონდათ-რა იმისს სიმდიდრის შესახებ და ჰფიქრობდნენ: „ვინც ამოდენა ნაღდი ფული გადათვალა, იმას ფული უანგარიშოთ უნდა ჰქონდესო“. იგი არ იქნებოდა ჯერ ორმოც-და-ათის წლისა და დიდ, „ველურ“ წვერს რომ არ დაეფარებინა მისი სახე, ეს ახლათ მოსული შვედ-ამერიკელი ლამაზ კაცად ჩაითვლებოდა.

მეზობლები შეუდგნენ სამზადისს, დაიწყეს რეცხა და დალაგება ოთახებისა; ყველანი მიარბენინებდნენ სამისებს ტოდდისთვის *) ოსტატთან სახურავების დასაკავშირებლად.

ერთს მშვენიერს დღეს ხმა გავრცელდა, რომ ახალმა მეზობელმა ინება მღვდელთან მისვლა და დიდხანს ჰქონდა იმისთან საუბარიო.

ათის წამის შემდეგ კაპიტანის ლიუნგსტრემის მეუღლე ეხვეოდა მღვდლის მეუღლეს და ეუბნებოდა: „საშინლად მომინდა თქვენი ნახვა, ჩემო კარგო ანნა! ავად ხომ არ ჰბრძანდებით?!

ამ დროს მღვდლის საკუთარს ოთახში შეგორდა მემამულე ბ-ნი პეტერსონი და გაუბა მღვდელს საუბარი: „რა მაზანდა აქვს ჭირნახულს, ან როგორ შეიძლება გავყიდოთ?! მალე დაგვიდგება გაზაფხული, თუ არა“?

ყველა ნაცნობნი დიასახლისნი თავიანთ გასათხოვარ ქალებით ერთ საათ ნახევრის განმავლობაში მობრძანდნენ მღვდლის და მისის მეუღლის სანახავად. დიდ ხანს არ დაიგვიანეს მაზრის უფროსმა, პოლიციის ბოქაულმა თავიანთსახლობითურთ; ხალხის მატარებლის წასვლის შემდეგ მაშინვე მობრძანდნენ რკინის გზის სადგურის უფროსი, მისი თანაშემწე, ფოსტის უფროსი და რამდენიმე ვაჭარი კაცი თავიანთის ცოლებითა და გასათხოვარ ქალებითურთ.

ამ გვარად ას ორმოც-და-ათის წამის შემდეგ მღვდლის სახლში შეიყარა სამოც სულზედ მეტი სხვა-და-სხვა მიზეზით. მღვდელი ვერ მიხვდა, რა უნდოდა ამდენ ხალხს იმისგან, და რადგან იგი კაცთ-მოყვარე და მშვიდის ხასიათისა იყო, ამდენი ხალხი რომ არ ეწამებინა ლოდინით, თავისის საკუთარ ოთახის კარებიდგან ყველას ღიმილით ეუბნებოდა:

— იქნება გგონიათ, რომ იმან რაიმე საეკკლესიო მოწმობა მომიტანა?—არა, ჯერ ჩემთვის არავითარი მოწმობა არ მოუტანია. იმას ჰსურდა მხოლოდ ძველი რუკა ენახა ჩვენის მაზრისა.

— ო-ო-ო! ერთხმით წაილუღლუღა სამოცმა სულმა და ამ ლუღლუღში გაისმა კილო გაცრუებულის იმედისა. გულდათუთქულნი დაბრუნდნენ ყველანი სახლებში და შეუდგნენ თავ-თავიანთ საქმეს. საიდუმლოდ ხმა დადიოდა, რომ ბიურბუს პატრონმა გაჰგზავნა თავის ახალს მამულში მშვენიერი ეტლი და დიდი სარკიანი შკაფიო.

— იმისთანა არა იყო-რა, რაც ბავშვებისათვის საჭირო არის?—ჰკითხავდა რკინის გზის სადგურის უფროსს კაპიტან ლიუნგსტრემის მეუღლე.

— არა, იმისთანა არა მოგვსლიარა, რომ იმის ცოლ-შვილიანობას ამტკიცებდეს,—უპასუხა რკინის გზის სადგურის უფროსმა.

შინ დაბრუნების თავე კაპიტანის მეუღლემ გამოუცხადა თავისს ქალებს:

— ჩვენი ახალი მეზობელი ნამდვილად უცოლოა. აი, ჩემო ქალებო, მოგიტანეთ უმარილი და კბილების სახეხი. შენ კი, ნანა, ამას გეტყვი, დროა თავი დაანებო ფრჩხილების კვნეტას.

კვირაობით დიდ-ძალი ხალხი იყრებოდა ბიურუნგიის ეკკლესიაში, როგორც იმ დროს, როდესაც ამ ეკკლესიის მეორე მღვდელი უცოლო იყო; მღვდელთ მჭევრ-მეტყველებას უმატეს, დიაკვანმა ახალი ტანისამოსი შეაკერინა და ისე გულმოდგინედ ჰგალობდა, რომ მეტის ხმის ძალის დატანებისაგან სახე სრულიად გასწითლებოდა.

მაგრამ როგორც ეტყობოდა ახალი მეზობელი გულ-მოდგინედ არ ემსახურებოდა თავისს სარწმუნოებას და ამიტომ არც საჭიროდ ჰხედავდა ეკკლესიაში სიარულს.

ეს-კი უნდა ვთქვათ, რომ ამ ახალ მემამულეს ჯერ ცოტა ეცხოვრა თავისს ახალს მამულში; მან მოიტანა იქ ერთი უზარ-მაზარი ტაშტი, რომელიც ჩასვა მიწაში, და მრავალი სხვა მანქანა.

— რა აზრისანი ხართ ბ-ნო ინჟენერო? რად უნდა უნდოდეს მაგოდენი უზარ-მაზარი ტაშტი? შეეკითხა ფოსტის უფროსის მეუღლე ერთს ყმაწვილ-კაცს, რომელსაც თავისს სიცოცხლეში ბევრი უცხო ადგილი მოევლო, იუტლანდიის ნახევარ კუნძულზედაც-კი ყოფილიყო და უცხო ხალხის ზნე-ჩვეულება გაცხობილი ჰქონდა.

— ჩემის აზრით, წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა, ჩვენს ახალს მეზობელს ან ჰარამხანა უნდა ჰქონდეს და ის უზარ-მაზარი ტაშტი ქალების საბანაოდ უნდა, ან და ოქროს მრეწველია და შიგ ოქროს მადნის ჯავარს თუ ჰრეცხავს.

— ბევრის ოქროს მოპოვება შეიძლება მაგგვარად?

— მე მგონია, სულ უკანასკნელი, დღეში ექვსისა ანუ შვიდის მისხლის მოპოვება შეიძლება.

დასასრულ სულ ყველანი ძალიან იყვნენ გაჯავრებულნი ბ-ნს სმიტზედ (ასე უწოდებდნენ მილიონების პატრონს) იმის გამო, რომ იგი არა სცდილობდა არავისთან დაახლოვებას.

— ეგ კერპი, ალბად დიდი გვარისა ბრძანდება, რომ არა ჰკადრულობს ჩვენთან ცნობას, წაიბურტყუნა ვაჭარ სტრემის ცოლმა.

— შეიძლება სულ უბრალო განათლებაც არა ჰქონდეს მიღებული, სთქვა ბებიამ თავისი აზრი: ხმა გავრცელდა, ვითომ ბ-ნს სმიტს თავისი ცოტაოდენი

*) ბიურბუ მამულს ეწოდება.

*) კრონი—ათშაურ ნახევარია.

*) ტოდდი ძლიერ გავრცელებული სასმელია შვედებ და ფილანდიელებ შორის. მზადდება ამ გვარად: ადუღებული წყალი, კონიაკი, ლიმონი და შაქარი ერთად არის არეული.

საქონლის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოჰგზავნა ქუთაისის გუბერნიაში ორი ბეითალი უგინჩუსი და ლობადოვსკი.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა, რომ ქუთაისის გუბერნიის სოფ. ბაკლანოვკაში დაარსებულ იქმნას ერთკლასიანი სასწავლებელიო.

*** ხუთშაბათს, 23 ივლისს, ტფილისში ჩამოვიდა სატყეო დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ნიკიტინი, რომელმაც იმავე დღეს დაათვალიერა კავკასიის საბრეშუმო სადგური. 24 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ბ-ნი ნიკიტინი ბორჯომის გზით წავიდა აბასთუმანს და იქიდგან გადავა ქუთაისის გუბერნიაში იქაურ ტყეების დასათვალიერებლად.

*** გუშინ, 25 ივლისს, მიდათოვის კუნძულზედ ქალაქის ტეხნიკოსთ დაათვალიერეს სოლომონის ფარდული, რომელშიაც მოთავსებულია სხვა-და-სხვა გვარი გარეული მხეცი და მაგარ შენობათ იცნეს.

*** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის გ. ი. სტეფანოვის წინადადებისამებრ სულით ავადმყოფთა თავშესაფარის გამგედ 25 ივლისს დანიშნულ იქმნა მკურნალი მ. ა. გედევანიშვილი.

*** რადგან საბჭოს მკურნალმა არწრუნიმ თავი დაანება სამსახურს, ამიტომ იმის თანამდებობის აღსრულება მიენდო მკურნალ-ქალს ფომინა-ოსიპოვისას.

*** გუშინ, 25 ივლისს, გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკმა, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ი. სტეფანოვმა, ქალაქის მიხეილის საავადმყოფოს დირექტორმა ა. ა. პავლოვსკიმ და მკურნალმა მ. ა. გედევანიშვილმა დაათვალიერეს ადამოვისაგან 1500 მან. შეძენილი სამ-სართულიანი სახლი სულით ავადმყოფთა მოსათავსებლად. ეს სახლი განკერძოებულადა სდგას კახეთის ქუჩაზედ. კომისიამ მოიწონა სახლი. ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ამ სახლის კარგა დიდს ეზოში ბაღი გააშენოს.

*** სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ბ-ნმა ჯაბადარმა წინადადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომ ფრინველის გასასყიდად არჩეულ იქმნას განსაკუთრებული ადგილი და ვაჭრებს საჭირო ადგილის დათმობისათვის 2 კაპ. გარდასახადი გამოერთვათ ხოლმეო.

*** პარასკევს, 24 ივლისს, ღამის 11 საათზედ, პოლიცმეისტერის თანაშემწემ გ. ს. კოვალიოვმა დაიარა მე-10 ნაწილის ლუდხანები და რამდენიმე უზნეო ყოფა-ქცევის ქალი დააპატიმრა და გაჰგზავნა სადაც ჯერ არს შესამოწმებლად.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სასოფლო-სამეურნეო სასტასტისტიკო განყოფილების მმართველი ბ-ნი ტიმირიაზევი ამ დღეებში გამოემგზავრა კავკასიისაკენ ადგილობრივ იმ შუამდგომლობათა გამოსარკვევად და გარდასაწყვეტად, რომელიც კავკასიის ღვინის მწარმოებელთა, სოფლის მეურნეთა და შინა-მრეწველთ აღძრეს.

*** ქალაქის გამგეობის განკარგულებისამებრ 25 ივლისიდგან იმ ქუჩების დასასუფთავებლად, რომლებიც ქალაქის მამულებს აკრავს, დაქირავებულ იქმნა 32 მუშა. ნაგვის გადასაყრელ ადგილას დანიშნულ იქმნა 7 კაცი და ნაგვის გასატანად დაქირავებულ იქმნა 8 პოვოსკა. დაგვა-დაწმენდისათვის საჭირო საგნების შესაძენად გადადებულ იქმნა თვეში 50 მან. და ქუჩების დაგვა-დაწმენდისათვის წელიწადში 3000 მან.

*** გაზ. „ტფ. ფურც.“ სწერს, რომ მომავალ აგვისტოს ტფილისში ჩამოვა საერო განათლების სამინისტროს სატეხნიკო განყოფილების თავმჯდომარე ბ-ნი ანოპოვი, რომელსაც აზრადა აქვს ადგილობრივ გამოიკვლიოს ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმეო.

*** საჩხერე, (შორაპნის მაზრა). 15 ივლისს აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ, ქ-ნ ეფროსინე დავითის ასულის წულუკიძის თაოსნობით წარმოდგენილ იქმნა საქველმოქმედოდ დრამა „და-ძმა“. სრული შემოსავალი იყო 120 მანეთი და 21 კაპ., აქედგან დაიხარჯა 62 მანეთი და 92 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 57 მანეთი 29 კ. ნახევარი საჩხერის იაფ სამკითხველოს გადაეცა და ნახევარიც ერთს ღარიბს მოსწავლეს.

*** სოფ. ბურნაშეთი, (ჯავახეთი). ეხლანდელი სომეხთა სოფელი ბურნაშეთი გაშენებულია ძველ ქართულ ნაოხრალ სოფელზედ, რასაც ჰმოწმობს აწ მთლად დარჩენილი ძველი ეკკლესია. დღეს სცხოვრობს 30—35 კომლი სომეხი. გაშენებულია 15—17 ვერსის მანძილზედ ჩრდილოეთით ახალქალაქიდგან, პატარა ქვიან სერების ძირში, რომლის წინ გადაფენილა მშვენიერი ვაკე სახნავსათესი მინდორი. ეკკლესია ბურნაშეთში პატარაა. შერჩენია მთლად კედლები (ალაგ-ალაგ ნათალი ქვა ჩამოვარდნილა). აღმოსავლეთით და სამხრეთით ნათალის ქვით არის ნაგები და დასავლეთითა და ჩრდილოეთით-კი უბრალო ქვით. აღმოსავლეთითა და დასავლეთით კედლებში დატანებული აქვს ვიწრო და გრძელი სანათურები. ზედ აღმოსავლეთის სანათურზედ კედელში სძევს წითელი, მოზრდილი ოთხ კუთხი ქვა. ზედ დახატულია კაცი, რომელსაც ორივ მხრივ უდგანან ლომები, უკანა ფეხებზედ შემდგარნი. კაცს ხელები მაღლა აღუპყრია. ნახატს ზევიდგან ოთხი-ხუთი სტრიქონი ხუცური წარწერა აქვს. ამ ეკკლესიის შენობა სხვა ძველ ეკკლესიებისას არ წააგავს. მხოლოდ საკურთხეველსა და დასავლეთის ბაკს შერჩენია ქვითკირის კამარა, დანარჩენი ნაწილები დახურულია ხით. ჩრდილოეთით კედელში გაკეთებულია სარკმელი—ავაზანი. სარკმელს ახლო კედელში ჩასმულია პატარა ოთხ-კუთხი ნათალი ქვა ხუცურის წარწერით. აქაც ეტყობა ვიღაცას გამოუჩენია თავისი მხნეობა და მამაცობა და ჩაქუჩის წვერს აღმოუფხვრია ნაწერი, დარჩენილა მხოლოდ ასოები: „Ⴄ...Ⴗ... Ⴙ...Ⴇ...Ⴄ...Ⴔ...Ⴍ...“

ფერის ცვალობა დღეს ბურნაშეთში დღეობა არის ხოლმე—„სურბ გეორქობა“. წელს, 12 ივლისს, კვირა დღეს, დიდს ხალხს მოეყარა თავი. უმეტესობა სომხობა იყო. დილით ზემოხსენებულ ეკკლესიაში სწირა სომხის მღვდელმა. ეკკლესიის ქვიანი გალავანი მორწყული იყო სალმრთოების სისხლით: მტრედი, ქათამი და ცხვარი ბლომად დაიკლა. შუადღისას მეჯლისი გაიმართა. დიდად საყურადღებოა, ნამდვილად შევიტყოთ, რას ამბობს ეს ქართული წარწერანი და ვისია ეს ეკკლესია—სომხებისა თუ ქართველებისა.

*** ს. კულაში, (ქუთაისის მაზრა). აქაურ ებრაელ შორის გავრცელებულია სენი, რომელიც ემზგავსება მუცელას. ეს სენი თან-და-თან ძლიერდება ისე, რომ დღე და ღამე ხუთი-რვა-კაცი მაინცა კვდება (!)

---

## საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის გამო.

სინოდის საქართველოს კანტორამ გადასწყვიტა და შეუდგა ქართულის საეკკლესიო წიგნების ახლად აღბეჭდვას. კომიტეტის წევრებს, რომელთაც მინდობილი აქვთ თვალ-ყური ადევნონ ამ ფრიად მძიმე საქმეს, რა თქმა უნდა, კარგად ესმით ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს აქა-იქ შესწორებას სამღვთო წერილის აწინდელის ტექსტისას ძველის თარგმანის მიხედვით. ამისათვის საჭიროდ არ მიგვაჩნია მოვაგონოთ ბეჭდვის დროს იქონიონ მხედველობაში ცნობილი ძველი ხელთ-ნაწერები. ჩვენ სიტყვა ჩამოვაგდეთ საეკკლესიო წიგნების გამოცემის შესახებ მხოლოდ იმ განზრახვით, რომ აღვვენიშნა მნიშვნელობა ერთის ძვირფასის ნაშთისა, რომელიც ტფილისის საეკკლესიო მუზეუმში ინახება. ეს ხელთ-ნაწერი წარმოადგენს უძველესს ვარიანტს წმ. სახარებისას, განსვენებულის ბაქრაძის აზრით. თუმცა საეჭვოა, რომ იგი ეკუთვნოდეს მეექვსე საუკუნეს, როგორც ჩვენი დაუვიწყარი ისტორიკოსი ჰფიქრობდა, რადგანაც ასომთავრულისა და ნუსხა-ხუცურის ხელით არის დაწერილი, მაინც მისი გამოცემა დიდად საინტერესო და საჭიროა. ჩვენის აზრით, იგი უნდა გამოიცეს იმ სახით, როგორც შენახულა. ამისთვის სასურველია ფოტოგრაფიულად გადაღებულ იქმნას თითოეული გვერდი და მხოლოდ ბოლოში დაერთოს ხუცური ან მხედრულის ასოებით აღმოკითხული ტექსტი. ამ ტექსტს უნდა დაემატოს შენიშვნები და შედარებითი განსხვავება აწინდელ სახარების ტექსტისა და სხვა ცნობილ ვარიანტებისაგან. ამგვარი გამოცემა, რასაკვირველია, ძვირად დაჯდება, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმისს სამეცნიერო მნიშვნელობას, მაშინ იქნება სამღვდელოებამ წყაროც აღმოაჩინოს მის გასაძღოლად. ამ სახით იბეჭდება მოსკოვში უძველესი სომხური სახარება და იქვე უნდა დაიბეჭდოს

---

შეძლება, („არა თუ მილიონი“, არამედ ამისი მეოთხედიც-კი არა) ეშოვნოს მკვდრების ძარცვით პენსილვანიაში, ყმაწვილ ქალების ვაჭრობითა და სპილოს ძვლებით, რომელსაც სცვლიდა ძველს ტანისამოსზედაო.

ის ოჯახები, რომელშიაც იმყოფებოდნენ მოწიფულნი, გასათხოვარნი ქალნი, არ იღებდნენ მონაწილეობას ამ სულელურ ჭორიკანობაში; ისინი გულმოდგინეთ შეუდგნენ საქმეს, უკერავდნენ თავიანთ ქალებს თეთრეულს, ჰყიდულობდნენ იმათთვის მშვენიერ კაბებს, საუკეთესო კონიაკს ტოდდისთვის, სიგარას, რომლის თითო ყუთში შვიდ კრონს აძლევდნენ, აწყობდნენ ღორისა და ცხვრის ბარკლებს ლორად, გასათხოვარნი იცვამდნენ ახალ კაბებს ტიტველა ტანზედ და იმედიანად გასცქეროდნენ გზას.

აი, დადგა მკათათვე და თავისს მამულს ბიურბუში მობრძანდა თვით ბ-ნი სმიტი, დაჰყო იქ ორს კვირას, მაგრამ უწინდელ მეზობელთან არავისთან არ მიდიოდა და არავის ესაუბრებოდა. მხოლოდ ყოველ დღე გულმოდგინედ დასეირნობდა ბიურგუნდიის ხრე-მარეზედ.

ეს კი უნდა ვთქვათ, დიდი მოსაზრება და მიხვედრა არ უნდოდა, რომ იგი სულითა და გულით მიისწრაფოდა და აკვირდებოდა ბ-ნ პეტერსონის მამულს დიულბუს. ისე დასტრიალებდა ხოლმე ამ ადგილს, როგორც დამშეული ყვავი დასტრიალებს საქონლის გადაგდებულს ლეშს, იგი ხშირად შესდგებოდა ღობესთან ხევანში და ოცნებით გატაცებული დიდხანს აკვირდებოდა საკვირველ სანახაობას—იმისს პირ და პირ ერთს მთაზედ იმყოფებოდა ბაკები საქონლისა, შინაურ ფრინველისა და ღორებისა და იმათ ზემოდგან მწვანედ გორაკაზედ ჰფრიალებდა საზაფხულო კაბები ბ-ნ პეტერსონის გასათხოვარ ქალებისა.

მე დიდის სიამოვნებით და წმინდის გულით მოგახსენებთ, რომ პეტერსონის გასათხოვარნი ქალნი, რომლებიც გულით ძალიან კეთილნი იყვნენ, ყოველ ღონის ძიებას ხმარობდნენ დაემშვენებინათ ეს ზემო აღწერილი სურათი თავიანთის კარგის ჩაცმითა და კოხტაობით.

რაკი „მილიონერის“ პატრონი სმიტი ხუთი დღე ზედი ზედ მოდიოდა ღობესთან და იქიდგან გატაცებული შესცქეროდა ბ-ნ პეტერსონის მამულს, იმისმა მეუღლემ, ფრიად კეთილმა ადამიანმა უთხრა თავისს ქმარს.

— კაცო, აბა ერთი ჩაიარე და გამოელაპარაკე. მე მგონი, რომ იმას ძალიან უნდა მოსწონდეს ჩვენი როზალია ან ამანდასი.

— ჰო, მამაჯან, შეიბრალეთ, ცოდვააო,—აჩქარებით ეუბნებოდნენ ქალები.

ბ-ნი პეტერსონი ჩვეულებრივ გულადად დაეშვა ქვეით, მიუახლოვდა ღობეს და ზრდილობიანად გამოელაპარაკა სმიტს.

— გამარჯობათ თქვენი! ჩვენ მგონი მეზობლები უნდა ვიყვნეთ. მე გახლავართ პეტერსონი და აი, აქა ვცხოვრობ.

— მორჩილი მონა თქვენი სმიტი—ბიურბუს პატრონი. განუსაზღვრელად მიხარის თქვენი გაცნობა.

როდესაც რამდენიმე საგულისხმიერო სიტყვა სთქვეს ბუნების შესახებ და ის-ის არის უნდა გამოსთხოვებოდნენ ერთმანეთს, ბ-ნმა სმიტმა უცებ სტაცა პეტერსონს მკლავში ხელი და აღელვებით უთხრა:

— ბ-ნო პეტერსონ, თქვენ იმისთანა რამის პატრონი ბრძანდებით (ამ დროს იმისი თვალები მისჩერებოდა ჭრელს კაბებს პეტერსონის გასათხოვარ ქალებისას, რომელნიც ამ დროს საქონლის ბაკს ზემოდგან, მწვანე გორაკაზედ დასეირნობდნენ), რაც სულითა და გულით მიყვარს... საუკუნოთ დამავალებთ... თუ ნებას მიბოძებთ, რომ შაბათს გიახლოთ თქვენთან?

— დიდის სიამოვნებით, ბ-ნო სმიტ, მობრძანდით.

პეტერსონი გახარებული დაბრუნდა სახლში.

— ეგ ვაჟბატონი სწორედ შეყვარებული ყოფილა, ჩემო კარგო! უთხრა პეტერსონმა თავისს მეუღლეს.

ბ-ნ პეტერსონის მეუღლე დიდად გულ-კეთილი ადამიანი იყო, არც ზარმაცი ბრძანდებოდა, ამიტომ ამისთანა შესანიშნავის ახალის ამბის დაფარვა არ შეეძლო; ერთის საათის შემდეგ მთელმა ბიურუნდიამ იცოდა, რომ შაბათს ბ-ნი სმიტი ჰნიშნავს პეტერსონის ქალს ან როზალიასა და ან ამანდასაო.

პეტერსონის ოჯახის კეთილ-მსურველი მეგობრები გულ-მოდგინეთ შეუდგნენ ბ-ნ სმიტის ვინაობის გამოსარკვევად ცნობების შეკრებას და ბოლოს დიდის მითქმა-მოთქმის წყალობით გამოარკვიეს, რომ პეტერსონის სიძე სამშობლოდგან არის გამოქცეული სახელმწიფო ფულის მოპარვის გამო, შემდეგ პენსილვანიის სასაფლაოზედ მკვდრებსა სთხრიდა და სძარცვავდა, კალკუტაში გაძარცვა ბანკი, არკაზანში დაპატიმრებული იყო ორის ცოლის შერთვის გამო (დღეს ორივენი ცოცხლები არიანო) და სარწმუნოებით ბუდდას მორწმუნეაო.

— საკვირველია, ღმერთმანი, როგორა ჰბედავენ იმასთან დამოყვრებას ეგ საცოდავი პეტერსონები, ერთხმად გაიძახოდნენ პეტერსონის ნაცნობები და თან საშინელის შურით იტანჯებოდნენ.

ბ-ნმა სმიტმა არა იცოდა რა. შაბათი რომ დადგა, მან შეაღო „დილბუს“ პატრონების სასტუმრო ოთახის კარები და მოკრძალებითა სთქვა:

—პატივცემულო, ბ-ნო პეტერსონ, გთხოვთ უზრდელად არ ჩამთვალოთ, რომ ამ მცირე გაცნობის შემდეგ... იქნება ის, რაც მე მინდა დავისაკუთრო, თქვენს თავ მოსაწონებელს შეადგენს, უმთავრესს წყაროს თქვენის სიხარულისას და არ ინებოთ იმის მოშორება...

— გთხოვთ ნუ შესწუხდებით, ჩემო კარგო მეზობელო, თამამათ მითხარით რაცა გსურთ, უპასუხა პეტერსონმა.

— ეხლა, შვილებო, ჩემს დედობრივ გულს მოსტაცებენ ერთ ერთს თქვენგანსაო, ცრემლ-მორეული ჰბუტბუტებდა პეტერსონის მეუღლე, რომელიც კარებს უკან იდგა და ეხვეოდა თავისს ქალებს.

— აი რა უნდა მოგახსენოთ ჩემო ბატონო, სთქვა ბ-ნმა სმიტმა: ოცი წელიწადია, ვიდრე აქ არ მოვიდოდი, არც ერთს დღეს თავი არ დამინებებია ჩემის ტყავების ქარხნისა, ჩემის ცოლისა და რვა შვილისათვის. იმათ გარდა, ისე ყურადღებას არაფერს ვაქცევ, როგორც ღორებს... ერთი კვირაა, რაც აღტაცებული შევხარი და დავნატრი თქვენს იორკშირის ჯიშის ღორებს... რაც გნებავთ ფასი დაადეთ, მხოლოდ ერთი წყვილი დამითმეთ, რითიც საუკუნოდ დამავალებთ! შემისრულეთ ეს თხოვნა!

— გადადგით შემწვარი... და... ჩაიცვით თქვენი ძველი ჩითის კაბები... ჩემო საწყალო ქალებოო! წამოიკვნესა პეტერსონის მეუღლემ.

გენო ლახვარი

ქართულიც, რადგანაც ტფილისში არ მოიპოვება შესაფერი ფოტოგრაფია და ფოტოტიპია.

ა. ხახანაშვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. მატანი,** (კახეთი), 20 ივლისი. მატანი მდებარეობს ალაზნის ველის დასაწყისში. თავისი მდებარეობითა და სახნავ-სათესით ეს სოფელი ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია. ერთის გახედვით თვალ-წინ გარდაგეშლებათ ჯეჯილით შემოსილი თვალ-გადაუწვდენელი ალაზნის ველი, მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს ამ სოფლის გარეგანი სიმშვენიერე-შეხედულობაა და თუ შინაური ვითარება გაიცანით, მეტად შესაბრალისს მდგომარეობაში არიან ამ სოფლის მცხოვრებლები. ამ ჟამის მსგავსის სოფლის მცხოვრებლები ხელში ჩაუგდიათ დ. ახმეტის ვაჭარ-ჩარჩებს და ამ სოფლის ხელ-იღბალს როგორც უნდათ, ისე ატრიალებენ. ამ ბატონებმა ზეპირად იციან, ამ სოფელში ვის რა დროს რა ესაჭიროება, და აწვდიან მამასისხლად. მაგალითად, შარშან ხორბალი კალოზედ შეესყიდნათ, ზოგი სარგებელში აღლოთ ფუთი 45—55 კაპეიკად და წრეულს ფუთი 1 მან. 50 კაპ. —1 მან. 60 კაპ. ისევ გლეხებსავე პატრონებს მიჰყიდეს. ფული თუ ვისმეს დასჭირდა, გაი მისი ბრალი: ჯერ უარს ეტყვიან, მერე ბევრის ხვეწნის შემდეგ, მოუტანენ თამასუქს, რომელშიაც სარგებელი 50—60% თავნზედ შეკეცილი. ამას გარდა, ფულის მსესხებელმა თავმდებიც სხვა უნდა იშოვოს. აქ ერთმა ვაჭარმა დაიქადა: „23 ვენახი მაქვს დაგირავებული და რადგან წრეულს კარგს მოსავალს მოველით, თავნს ფულს ერთიორად ავიღებო“.

მატანის სოფლის ყველა მცხოვრებელი დარწმუნებულია, რომ ვენახის სენს მილდიუსა და ნაცრის მოსასპობად საჭიროა წამლობა, მაგრამ ზოგს უცოდინარობისა და ზოგს-კი სიღარიბისა გამო ვერ მოუხერხებიათ ეს საქმე. აქ რამდენსამე ვაჭარ-ჩარჩს უგისრნია და რაც ამ სოფელში საუკეთესო ვენახები იყო, იმათი წამლობა ამათ აუღიათ ასეთის პირობით: ვენახის პატრონმა უნდა მისცეს ერთი მესამედი მოსავლისა და ჩარჩმა თავისის წამლეულით უნდა უწამლოს ორჯელ. ამგვარად, საბრალო გლეხმა წელიწადში ვენახში უნდა იმუშაოს და ერთი მესამედი მოსავლისა ორჯელ წამლის შეყრისათვის მისცეს. კარგად მაინც სწამლობდნენ: ისეა ვენახები გათხუპნილი, ვენახის სარწყავ მანქანით-კი არა, ცოცხით, რომ გეგონებათ მორწყულიაო. ამაზედ ნათქვამია: „თუნდ მგელს შეუჭამივარ და თუნდ მგლის ფერ ძაღლსაო“. თუნდ სენს წაუხდენია კაზი და თუნდ 1/3 დი სხვას წაუღია, განა სულ ერთი არ არის. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ორჯელ ექიმობა ორის დღიურის ვენახისა ჯდება 12—16 მანეთი. განსხვავება აქ ის არის, რომ ზოგი ათ გირვანქა შაბიამანს ასხამს თორმეტს ჩაფს წყალს და აყრის ხუთ გირვანქა ქვა-გირს, ზოგი-კი ათ გირვანქა შაბიამანს ოც ჩაფ წყალს და ათ გირვანქა ქვა-გირს. როგორც გამოკვლევამ დაგვიმტკიცა, პირველი ზომა კახეთისა და იმერეთის ვენახებისათვის საუკეთესოა. ამათ-კი მეორე ზომის კვალობაზედ აქვთ ნაწამლი. ორ დღიურს ვენახში საშუალო მოსავალი ცხრა საპალნე ღვინო იქნება. საპალნე 32 ფუთია, 1/3 შეადგენს სამს საპალნეს და ეს სამი საპალნე კახური ღვინო რაც ეღირება, ამისი გამოთვლა თქვენთვის მომინდვია. უროგო არ იქნება, რომ ვისიც ჯერ არს, ამ ვაჟბატონების მოქმედებას ყურადღებას მიაქცევდეს და მოსთხოვდეს მოწმობას, რადგან ისინი პირობას იძლევიან: „ჩვენ კარგათ ვიცით ვენახის წამლობა და თუ საჭირო იქნება, საფილოქსერო დასისაგან მოწმობას წარმოვადგენთო. ღმერთმა ჰქნას, რომ თხას მგელი დაეჭიროს!“. მაგრამ მე გამოცდილი ვარ ვენახის წამლობის საქმეში და არა მჯერა, რომ მოწმობა წარმოადგინონ. ამასთან ცოტა ხარჯში ამდენის სასყიდლის აღება მგონი განონის დარღვევა იყოს.

საზოგადოდ წრეულს კახეთში ნაწამლ ვენახებს, სადაც დაუსტეტუჯარია, უფლის თვალი დაჭყურებს. ისე ახლის ვაზს, რომ სარი ვეღარ უძლებს. ნაწამლი ვენახები, ორთა შუა რიცხვით რომ ვაინგარიშოთ, 2/3 იქნება. უწამლი ვენახები კი მილდიუმმა და ნაცარმა დედამიწასთან გაასწორა. ნაცრის და მილდიუს ასე გავრცელება ნამთის წლეულს უნდა მივაწეროთ. აგრეთვე ვენახის ახალი სენი—ბლეკროტიც მალიან მოდებულია კარდენახსა ბაკურ-ციხესა, კოლაგსა და ანაგის სოფლის ვენახებში.

ზაფხული ჩვენსკენ პირველად ძალიან ცივი იყო, მაგალითად 12 თიბათვეს მთები ახლად დათოვა. ოცდგან ძალიან დაცხა, ასე რომ ოც თიბათვიდგან დაწყებული დღევანდლამდე 32 გრადუსამდის აღის სიცხე ოთახში. წრეულს კახეთის საფილოქსერო დასები ჯერ ნაწილად არიან დაყოფილნი სიღნაღსა და ახმეტას შუა სხვა-და-სხვა სოფლებში. ვენახების გამოკვლევას 1 ივნისიდან შეუდგნენ, მაგრამ ჯერ ფილოქსერა არსად უპოვნიათ, მხოლოდ სასურველია, რომ იმერეთიდან მოსულ მუშებს სიფრთხილით მოექცნენ და უდეზინფექციოდ არ დასტოვონ.

სოლომონ იოსავა

## რუსეთი

—

ფინანსთა სამინისტროსთან მომავალ შემოდგომას დაარსებულ იქმნება განსაკუთრებული კომისია, რომელიც ხელ-ახლად გადაათვალიერებს და შეიმუშავებს აწ არსებულს ტარიფს რუსეთის რკინის გზებით მარილის გადატან-გადმოტანის შესახებ.

— წელს დედათა უმაღლესს კურსებზედ შესვლის სურვილი 400 ქალს განუცხადებია. მსურველთა მომეტებულს ნაწილს დედათა გიმნაზიებსა და ინსტიტუტებში აქვთ სწავლა დამთავრებული. ამ წლისათვის სასწავლებელში მხოლოდ 300 კაცი იქმნება მიღებული და მსურველთა თხოვნები სასწავლებლის მთავრობის მიერ მიღებულ და განხილულ იქმნება პირველ აგვისტომდის.

— საერო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქების უფროსთ, ჯეროვანი თვალყური ადევნეთ იმას, რომ ხაზინიდგან გადადებული ფული თავის დროზედ მოხმარდეს ხოლმე პირველ-დაწყებით სწავლა-ცოდნის გავრცელების საქმესაო.

— წელს მოსკოვის ყველა სასწავლებელში, იმპერატორის ალექსანდრე მე-II ძეგლის კურთხევისა გამო, სწავლა დაიწყება 24 აგვისტოს.

— განზრახვა აქვთ საერო სასწავლებელთა სამზრუნველოების ნორმალურ წესდების შემუშავებას ხელი მიჰყონ მაშინ, როდესაც რუსეთის ყოველ სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან ცნობები მიუვათ ამ საქმის შესახებ.

## წერილი ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

თამაშობა და გაჯიბრება.—დოქტორის გრესის იუბილეი.—დედათა კონგრესის იუბილეი.—დედათა კონგრესები.—უელსის პრინცის დაშავება და საზოგადოების თანაგრძნობა).

ყველამ იცის, რომ ინგლისელები და ამერიკელები დიდს მნიშვნელობას აძლევენ ყოველგვარ ვარჯიშობასა და მუშაობას. ამ ბოლო დროს ყველა დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში, მათ შორის დედათა სასწავლებლებშიაც-კი შემოიღეს სხვა-და-სხვა ხელობის სწავლება. ქალებს ასწავლიან ხელსაქმის გარდა დურგლობასა და სხვა ხელობას. რაც შეეხება გიმნასტიკასა და თამაშობას, ამაზედ ხომ მეტია ლაპარაკი: ამერიკაში არის ეგრედ წოდებული იახტ-კლუბები, რომლის წევრებად ქალები არიან და ერთმანერთს ეჯიბრებიან ნავებით, რომელი გაასწრობსო. საზოგადოდ გიმნასტიკასა და სხვა-და-სხვა თამაშობას აქ დიდს ყურადღებას აქცევენ. სპეციალისტებიც-კი არიან აქ სხვა-და-სხვა თამაშობისა. ამ კაცებს ძლიერ მაგარი კუნთები აქვთ და ფეხში დიდი ღონე, ხოლო ჭკუა კი... მაგრამ ჭკუა რა საჭიროა ამ ვაჟბატონებისათვის. ამათზე განუვითარებელი და უგუნური ხალხი მეორსად შემხვედრია... საბედნიეროდ ამგვარი სპეციალისტები ცოტანი არიან და საუცხოვოდ მოწყობილ ვარჯიშობისა და თამაშობის წყალობით ინგლისის ერი ღონიერი და ჯანიანი შეიქმნა. იუვენალის სიტყვებს „Mens Sano in corpore sano“ (საღი გონება საღს სხეულშია) აქ დიდს ყურადღებას აქცევენ. ვარჯიშობასა და თამაშობაში გამარჯვებულებს უწინ უძღვნიდნენ ჯილდოდ ტაშის ცემასა და დაფნის გვირგვინებს. ჩვენს დროში-კი დაფნის გვირგვინის ადგილი დაიჭირა ფულმა. აი დღესაც (22/10 ივლისი) გათავდა კროკეტის თამაშობა, რომელშიაც, როგორც ყოველთვის, წელსაც დოქტორმა გრესმა გაიმარჯვა. მთელს ინგლისში სახელ-განთქმულმა კროკეტის მოთამაშეებმა დოქტორის პატივისმცემლებმა გამართეს იმის სახელობაზედ ნაციონალური ხელის მოწერა... და იცით, რამდენი შეაგროვეს? არც მეტი და არც ნაკლები—5000 გირვანქა სტერლინგი. ე. ი. 50.000 მან!. როგორ მოგწონთ? 50 ათასი მანათი ჯილდო მისცეს იმ კაცს, რომელიც პაწია ვიწრო ნიჩაბით მარჯვედ ისროდა ბურთსა. საოცარი არ არის ესა. კაცი მოელის დროს თავისთვის ბურთსა თამაშობდა და ამისათვის ამდიდრებენ და ამავე გმირის პატივცემულნი წინაამდეგნი არიან იმ კანონისა, რომლის ძალით უნდოდათ 2 ან 3 ასი მანათი დაენიშნათ სიბერის დროს წელიწადში იმ მუშებისათვის, რომელთაც მთელი სიცოცხლე მუშაობაში გაატარეს და მოუპოვეს ინგლისს სიმდიდრე და დიდება... საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!..

—

ამ კვირია ლონდონი პატივსა სცემდა მთელის ქვეყნიდგან ორს კონგრესზე დასასწრებლად მოსულ დედაკაცებს. ერთი კონგრესი გაიმართა პროსტიტუციის მოსპობის მომხრე დედაკაცთა, მეორე საქრისტიანო სკოლების დამაარსებელ კავშირისა და მესამეც კრება დედაკაცთა ლიგისა. ამ ოთხის წლის წინად ბ-ნს ვაზიანს „ივერიაში“ აწერილი ჰქონდა ინგლისის დედაკაცთა განვითარება და აღზრდა. ეხლაც ამ კონგრესებზე გამოჩნდა ამერიკელ და ინგლისელ დედაკაცთა უპირატესობა სხვა ქვეყნების დედაკაცთა შედარებით. მეცნიერებაში ლიტერატურაში, ხელოვნებაში, პედაგოგია თუ სხვა საზოგადო საქმეში ამერიკელსა და ინგლისელს დედაკაცს პირველი ადგილი უჭირავს. საკვირველი უფრო ის არის, რომ ამერიკელი და ინგლისელი დედაკაცები ასობითა და ათასობით მხნედ შრომობენ ყოველგვარ საზოგადო საქმეში და თავისის შრომით სხვებსაც ამხნევებენ. კონგრესზე დამსწრე სხვა ქვეყნებიდგან დელეგატებად გამოგზავნილი დედაკაცები ამტკიცებენ, რომ ევროპის სხვა ტომის დედაკაცთა მოქმედება სრულიად უნაყოფო და უფერულია ამერიკელ და ინგლისელ დედაკაცთა მოქმედებასთან შედარებით.

—

უეჭველია, დეპეშა ამბავს მოგიტანდათ, რა უბედურება შეემთხვა პრინც უელსისას. პრინცი სადილად როტშილდთან იყო, მარმარილოს კიბეზე რომ ჩამოდიოდა, ფეხი დაუსხლტა, წაიქცა და მუხლი იტკინა. ოფიციალურ ამბებიდგან სჩანს, რომ საშიში არაფერია, მაგრამ საზოგადოების თანაგრძნობას პრინცისადმი საზღვარი არა აქვს. პრინცს შეუძლიან ეხლა დარწმუნდეს, რამდენად პატივსა სცემს იმას საზოგადოების ყველა წოდების ხალხი. პრინცის თავმდაბლობა და თანაგრძნობა ყოველის კეთილის საქმისა ინგლისის ერმა დიდი ხანია დააფასა.

ვ. მარველი

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

15 ივლისი

აგერ მეათე თვეა, რაც ბოსფორის მიდამო მშვიდობიანად განაგრძობს თავისს „ძველებურს“ სიცოცხლეს. კაი ხანია მართლ-მორწმუნეთა ბრბოს ასე თავისუფლად აღარ უნავარდნია. ან-კი რაღამ უნდა შეაწუხოთ: ბერძნებთან ომი მოიგეს, სომხებს ჩაილულის წყალი დაალევინეს, ადგილობრივნი მცხოვრებნი—ქვეშევრდომნი მაგრად ჰყავთ ჩაბრჭყალული. აქაურმა მოხელეებმა ისეთ ნაირად შეზღუდეს ხალხის უფლებანი, რომ ზღვის ნაპირიდგან გემზედ გასვლასაც კი განსაკუთრებული ნება-რთვა უნდა, მაგრამ საკვირველია კაცის ბუნება, ვერც ასეთი სისასტიკე იმაგრებს ვერავის, დღე არ გავა, რომ ერთი ახალ თურქთაგანი არ გაუსხლტეს ხელიდგან ოსმალოთა ადმინისტრაციას. ამ რამდენისამე დღის წინად გაიქცა აქედგან ერთი განათლებული ცხენოსნის აფიცერი. პოლიციამ მისი გაქცევა მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც [illegible] საფრანგეთის გემში იჯდა. გემი თუმცა ნაპირას იდგა, კონსტანტინეპოლის ახალ ნავთ-სადგურში (კე) და დაგეშებული ქორები შესცქეროდნენ მსუქანს მსხვერპლს, მაგრამ ის ისეთს ბუდეში იჯდა, როგორიც არის საფრანგეთის გემი, და რას დააკლებდნენ. თუ სდევნიან ვისმე და ევროპის სახელმწიფოს რომელსამე გემში შეასწრო, მორჩა, ვერას დააკლებენ, მაგრამ თუ ხმელეთზედ მოასწრეს და ამასთან ოსმალეთის ქვეშევრდომია, ცუდს დღეს დააყენებენ.

ეხლა სტამბოლში ერთისა და იმავე რედაქტორის თაირ ბეგის ხელმძღვანელობით გამოდის ორი ფრანგული და ორიც თათრული უცენზურო გაზეთი, რომლებშიაც სათითაოდ დაიბეჭდა სახელები დაუძლეველის ოსმალეთის ჯარის ყველა გმირისა, რომლებმაც ისახელეს თავი საბერძნეთთან ომის დროს. „მალუმათისა“, „სერვეთისა“ და სხვა გაზეთების რედაქტორმა თაირ ბეგმა იმდენი მამულიშვილობა გამოიჩინა თავისს „Organ du palais“, რომ ყველას, ვინც საბერძნეთის საზღვარზედ, ანუ მათთან ომში იყვნენ, ანუ უნდოდათ ყოფილიყვნენ, თითო მენდალი უბოძეს მკერდზედ სატარებლად და ჩარიცხეს კიდეც ყველა ეს ბედნიერნი ოსმალეთის Legion d'honneur-ებად.

ერთი ახალი ცვლილებაც შემოიღეს აქა: ქალაქის ქუჩები უნდა გაკეთდეს, გასწორდეს, გამოზიდული უშნო სახლები ჩამოიჭრას და ქუჩებში გასასყიდად გამოფენილს, თუ სახლ-დუქნებ მაღაზიებში ჩამოკიდებულ ნახატებს ორ ფარიანი (1/2 კ.) მარკა უნდა მიეკრას, რათა ამ სახით გაძლიერდეს დეირ-ი-უმუმის (სახელმწიფო ვალების გასასტუმრებელი დაწესებულებაა) თანხა და იმ ექვს მილიონ ლირას, რომელსაც წელიწადში უხდის ოსმალეთი რუსეთის გარდა, ევროპას, რამე გადარჩეს. მართლა, ეგება ეინტერესება კიდეც ვისმეს შეიტყოს, ეს ექვსი მილიონი ლირა წელიწადში როგორ ან რა შემოსავლისაგან ეძლევა ევროპას. ყველა შემოსავალი მარილისა, თევზისა, სასმელებისა და მარკებისა (ფოსტის მარკებს გარდა) იკრიბება დეირი-ი-უმუმიაში, ანუ, უკეთ ვთქვათ, გადადებულია და ჩაბარებული აქვს ევროპისაგან დანიშნულს კომისიას. ეს კომისია არის მოთავსებული ვეებერთელა სასახლეში, რომელსაც ეწოდება „დეირ-ი უმუმიე“. ოსმალეთის მთავრობა მოვალეა ექვსი მილიონი ლირა გარდაიხადოს წელიწადში ზემოდ აღნიშნულ შემოსავლისაგან. თუ დააკლდა, ხაზინამ უნდა შეუსრულოს და თუ გადაამეტა, თითონ დარჩება. ამ რამდენსამე წლებში ოსმალეთის ხაზინას კიდევ რჩება აქედგან ხან ერთი, ხან ნახევარი მილიონი ლირა (ლირა 8 მ. და 50 კ.).

ხმა დადის, სომხები ისევ აპირებენ იჯანყებასაო და ამიტომ მთავრობა დიდად თვალ გაფაციცებულია.

იასე რაჭველი

## დამაკვირდი

თუ შენი შემოსავლიდამ ყოველ დღე იზოგავ თითო დინარს, არ წარწყმდე-

ბი, თუ კი შემოსავალზე ერთი დინარით მეტს ხარჯავ, იფიქრე როგორ უშველო შენს თავს.

ფარსადან გორგიჯანიძე

* * *

უოკელივე ჭირი უპდვილესია სესხებისა

წმ. ეფთვიმე.

* * *

ვირი ყოკელთვის არისო ვირი,
გინდა დაადგა თვლის უნაგირი,
გინდა რომ რახტიც ამოზდო ზირსა,
მაინც ვირულად შეიქნს ყროყინსა!

გიორგი ერისთავი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ინჟენერს ბროინს გაუკეთებია პეტერბურგში ნავი, რომელიც ძლიერ ჩქარა ივლის თურმე წყალში და სულ ერთის კაცის ღონეა საჭირო. ნავს ამ დღეებში გამოსცდიან მდინარე ნევაზე.

* * *

ამ ბოლო დროს ევროპასა და ამერიკაში ძლიერა სცდილობენ, რომ ხალხში სამეცნიერო ცოდნა გაავრცელონ.

ამ საკეთილო საქმეს ყველაზე უწინ ინგლისელებმა მოჰკიდეს ხელი. ინგლისელი ნასწავლი კაცი ისე-კი არ უყურებს მუშა კაცს, როგორც უწინ იყო, ე. ი. მუშა საქონლად არ მიაჩნია. ინგლისის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები სახლებს იჭერენ და სცხოვრობენ იქ, სადაც მუშა ხალხი სცხოვრობს, ჰმართვენ იქ უფასო სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებს, კითხულობენ საჯარო ლექციებს და სხვ.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, ჯემსის შემდეგის სიტყვებიდგანა სჩანს:

„ყოველ ამერიკელისათვის დიდად საყურადღებო უნდა იყოსო, სწერს ჯემსი *), ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს ხალხში თანდათან ვრცელდება სამეცნიერო ცოდნა. ეს ცოდნა კოლეჯებისა და უნივერსიტეტის კარს გაუღებს იმ წოდების ხალხს, რომლისათვისაც აქამდე უმაღლესის სწავლის მიღება შეუძლებელი იყო. ამ გარემოების წყალობით მუშა ხალხს შეძლება აქვს თავისს საქმეს თავი არ დაანებოს და სხვების დახმარებით სწავლა და ცოდნა შეიძინოს. მუშა კაცი ეხლა თავს დაანებებს უბრალო მითქმა-მოთქმასა და ჭორს და ხელს მოჰკიდებს სწავლა-განათლებას. ამიერიდგან მუშა კაცი ყოველ დღე ცოტაოდენ დროს გადასდებს სწავლის შეძენისათვის და ამ საქმისათვის ისევე იზრუნებს, როგორც სულის ცხონებისათვის. ხომ სასაცილო იქმნებოდა, რომ კაცმა, რომელმაც სამი, ოთხი ან ხუთი წელიწადი ღმერთის მსახურებასა და ლოცვას შესწირა, ერთს დღეს ყოველსავე ამას თავი დაანებოს. ესევე სასაცილო უნდა იყოს, როდესაც კაცი დაბალსა ანუ საშუალო სასწავლებელს ათავებს და მერე აღარაფრის სწავლა და ცოდნა ხღარ უნდა. ინტელიგენციის მოვალეობა არის ჩაუნერგოს ხალხს გულში, რომ სწავლისა და ცოდნის შეძენა აუცილებელი მოვალეობა უნდა იყოს ყოველისავე ადამიანისა“.

ამერიკაში და ინგლისში მრავალი საზოგადოება არსებობს და არსდება ხალხში სწავლის გასავრცელებლად, ხოლო ჩვენში ამაზედ არავინა ზრუნავს.

## სახალხო ლექსები

(გაგონილი ს. ოფიშქვითში სტეფანე სანებლიძის მიერ)

მე მეგონა შენი ცხენი
ბებერი და კისერ გძელი.
მოუტანე ჩალა,
ხელათ გაეცალა,
მოუტანე კოინდარი,
მორცხვია და მორიდალი.
მოუტანე თივა,
წეიქცა და კივა.
ცხენმა სთქვა საწყალობელმა
არ მღირსებია ნალიო,
მოვიდა ჩემი პატრონი,
ველარ უთხარი ვარიო,
წამიყვანა ნამაშევს,
მომიყვანა ნავახშმებს,
შე რო იმაში მეიგე,
მოუგია მამაშენს.

—

თქვენ შვიდობა, ჩვენ შვიდობა!
მითი რა გაგვიჭირდება.
ქალის თხოვას თუ იკითხავ,
კაცი ვერ გაგიპირდება;
კაის თუ რამეს მეიყვან,
ქვეყანა გაეკიდება,
გლახას თუ რამეს მეიყვან,
ხიბაკი აგეკიდება.

—

ვაი დედა, რა ყოფილა,
სხვათა მოჯამაგირობა,
არც მასვეს და არც მაჭამეს,
ტყეში მომცეს ნადირობა,
ოყა თოხი ხელში მომცეს,
ჩემთვის არა საღილობა.

—

დადიანს მოუწერია
ამირიკის ქაღალდიო,
ჩვენს ხენწიფეს მოუწყია
ძველებული ალდათიო,
იმერეთში გააწვია
ახალგაზდა სალდათიო,
დედები უკან მიტირის
დედა,—შვილო სა წადიო,
დედაჩემო, ნუღარ მომზდევ,
აღარ გადის საცადიო,
თუ ცოცხალი-კი მევედი,
არ დავრჩები საწყალიო.

—

ფერადები, ფეშკაშები,
ჩიტის თავი ლალებიო,
ბოშო რას მომჩერებიხარ,
გილამდება თვალებიო,
—გავკრავ და გამოვკრავ ხელსა,
ბოლსა მოვტეხ ალვისასა,
ხუმრობასაც არ ვიკადრებ
შენისთანა ქალისასა.

—

გზაზედ კაცი მოდიოდა,
მიითლიდა ატამსაო,
როცა სულ შემოელია,
მოუბრუნდა ნათალსაო.

—

სად ხარ ჩემო ძველო ჩოხა,
ძველო ნაფაფანაკებო,
ახალს ყველას მირჩევნიხარ,
ძველო ნაფხანაკებო.

—

თეთრი ლობიო დავთესე
ყანების გასაწმენდათო,
„ონფოლოციაი“ მოსულა
ქალების გასაწყვეტადო.

—

ერთმა კაცმა ქორწილი ქნა
ფეხ-დამწვარი წიწილითა,
თაგვი მაყრულს ეუბნება,
კატა კვდება სიცილითა.

*) „Вопр. фил. и психологiи“, 43.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 ივლისი

**ვაშინგტონი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ ესპანიისაგან ჯერ არ მოსულა პასუხი ზავის პირობების შესახებ.

**ყაზანი.** მიწად-მოქმედების მინისტრი მოვიდა აქ და აქედგან პერმში წავიდა.

**ბერლინი.** თავ. ბისმარკის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გამო ბანკები, მრავალი მაღაზიები და დუქნები დაკეტილი იყო; სახლებზედ ნახევრად ჩამოშვებული ბაირაღია; ბევრი სამგლოვიაროა. მაღაზიების ფანჯრებში სამგლოვიარო სურათები და ქანდაკებანია, გვირგვინებით შემკული.

**მადრიდი.** საგასტას დაეკითხნენ, რა მდგომარეობაშია ზავის შესახებ მოლაპარაკება და მან სთქვა, რომ მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა, მაგრამ ვაშინგტონისა და მადრიდის მთავრობა მოვალენი არიან თავდაჭერით იყვნენ.

**ბერლინი.** იმპერატორის ვილჰელმის სახსოვრად აგებულს ეკკლესიაში დღეს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი თავ. ბისმარკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ იმპერატორი და იმპერატრიცა, პრინცები, პრიცესები, სადიპლომატიო კორპუსი და სამოქალაქო და სამხედრო უფროსნი. ეკკლესიის წინ საპატიო ყარაული იდგა. წირვის წინა და შემდეგ გალობდა ოპერის ხორო. ლოცვის დროს მღვდელმა მოიხსენია დიდი ღვაწლი ბისმარკისა.

25 ივლისი

**კიევი.** $8\frac{1}{2}$ საათზედ აქ მობრძანდნენ რუმინიის მეფე და მემკვიდრე ამალითურთ. რკინის გზის სადგურზე მიეგებნენ გუბერნატორი, გენერლობა და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენლები.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭოს, რომელიც შესდგა დედოფლის თავმჯდომარეობით, საგასტამ მოახსენა ის დადგენილებანი, რომელნიც საბჭომ მიიღო ამ უკანასკნელ დღეებში. ზავის შესახებ მოლაპარაკებას ჯერ საბოლოოდ არაფერი არ გამოურკვევია. დღეს საღამოთი საგასტა ხელახლად დაიწყებს მოლაპარაკებას ზოგიერთ საპოლიტიკო მოღვაწესთან.

**მადრიდი.** პორტო რიკოდგან მოსული ოფიციალური დეპეშა იუწყება, რომ პონსეს უომრად გადაცემისა გამო პოლკოვნიკი სან-მარტინი დახვრეტილ იქმნა. პოდპოლკოვნიკმა პუიგმა თავი მოიკლა.

**პარიჟი.** „Diecle“-ში დაბეჭდილია წერილი გრაფ ქრისტიანე ესტერგაზის შესახებ, რომელიც მაიორის ესტერგაზისა და დიუ-პატი-დე-კლამის შუამავალი ყოფილა დრეიფუსის მომხრეებთან ბრძოლის დროს. გრ. ესტერგაზმა განაცხადა, რომ დიუ-პატი-დე-კლამმა და მაიორმა ესტერგაზმა განიზრახეს პიკარის შერცხვენა ცრუ დეპეშებით, რომელთაც ქვეშ აწერდნენ „ბლანშსა“ და „სპერანცს“ დასასრულ გრაფმა აღიარა, რომ მე თითონ მივწერე წერილი „რიდე ჩამოფარებულს ქალს“ საიდუმლო საბუთის გამოსარკვევადაო.

პალატამ უარ ჰყო სააპელაციო საჩივარი ზოლასი ვერსალის ასსიზთა სასამართლოს განაჩენზედ.

**მადრიდი.** კარლისტები ჰფიქრობენ, რომ ჩვენის დასის წარმომადგენელს პალატაში ბარრიოს არავითარი მოლაპარაკება არ ექმნება საგასტასთანაო.

„Liberal“-ში დაბეჭდილია მარშალის კამპოსის სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ სრული მომხრე ვარ ზავისა და ზავის პირობათა უარყოფა დიდი სისულელე იქმნებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივლისი

| | მყიდვე-ლისა. | | გამყიდ-ველისა | | გაყიდუ-ლისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | | |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | | | | | 216 | |
| | $97\frac{1}{2}$ | | — | „ | — | „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | | — | „ | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | | — | „ | — | • |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $100\frac{1}{2}$ | | — | „ | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $100\frac{1}{2}$ | | — | „ | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | „ | — | „ | $289\frac{1}{2}$ | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | $248\frac{1}{2}$ | |

## „ივერიის“ ფოსტა

**ქ. ქ—ხი. მ. ხა—რაძეს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, შეგიძლიანთ იქ მიჰმართოთ, სადაც საჭიროდ დაინახავთ.

**ქ. ქ—ხი. ა. მ—ნს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ფორეშ.** თქვენი უკანასკნელი წერილი დაგვიანებულია, ეგ ცნობები უკვე გვქონდა დაბეჭდილი.

**რაც მართალია—ცხადია.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ყ—ხი. ჰ. ფ—მს.** თვით „კრებულის“ რედაქციას მიჰმართეთ.

**ია. დ—შვილს.** თქვენი წერილი და ლექსი არ დაიბეჭდება.

**ქ. ქ—ხი. ა. ხ—ლიანს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ზ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ქ—ხი. სამ. ქ. ბ—ძეს,** თქვენ მიერ მოწერილი ამბავი არ დაიბეჭდება. რაც შეეხება გამოგზავნილს ერთს მანეთს, იგი „წერა-კითხვის საზოგადოებას“ გარდავეცით სათავად-აზნაურო სასწავლებლის შენობის სასარგებლოდ.

**დ. ყ—ლა. თავისუფალს.** ჟანდარმის ოქმის პირი გამოგვიგზავნეთ, ჯეროვანად შემოწმებული.

**ელენკას.** არ დაიბეჭდება.

**დვაბზუელს ხელოსანს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ბ—ი. ვ. ლ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ო—თი. გ. ს—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ზუ—შვილს.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის გამგეობისავე დარბაზში ამა წლის 10 აგვისტოს ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უპატრონო მაღლების დახოცვის იჯარით გასაცემად. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—6.—1)

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(42—6.—11)

Покупайте только




ЦВѢТОЧНЫЙ О-ДЕ-КОЛОНЪ, ИЗОБРѢТЕННЫЙ Товариществомъ Брокаръ и Ко.

Этотъ о-де-колонъ употребляется какъ духи, туалетная вода и куренія.

Остерегаться поддѣлокъ.

11—მ—3)

# КЪ ВОПРОСУ

О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Іюля. 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.